ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3212472

ნომერი: AR1486254

თარიღი : 16.03.2017

გაცემის თარიღი : 18.04.2017

გაცნობის თარიღი : 19.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 110ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინა კილაძე პ/ნ 01024002903
- საირმის გორა 25/099

ორგანიზაცია:

- შპს "ტურელიტ-გრუპი" კოდი: 404979813

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 მარტს #AR1486254 განცხადებით მომართა ირინა კილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, საირმის 110ა, შპს „ტურელიტ-გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.025.099) საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 16 თებერვლიდან 2017 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 9053.46 კვ.მ-ის ნაცვლად 9031.35 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1852.18 კვ.მ-ის ნაცვლად 1869.78 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართად 1611.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1257.28 კვ.მ-ის ნაცვლად 823 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 3898.22 კვ.მ-ის, აუზის ფართობად 130.5 კვ.მ-ის, შესაბამისად საერთო ფართობად 17802.84 კვ.მ-ის ნაცვლად 17364.05 კვ.მ-ის დაფიქსირება და ასევე -7.20 და -0.00 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანებასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 9031.35 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1869.78 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1611.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად 823 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 3898.22 კვ.მ., აუზის ფართობად 130.5 კვ.მ., შესაბამისად საერთო ფართობად 17364.05 კვ.მ. და -7.20 და -0.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #3102145 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.